პროფესიონალი

№88

PROFESIONALI

დამსაქმებელთა და საერთაშორისო განათლების ფორუმი 2019



საქართველო, 6010 ბათუმი, რუსთაველის ქ. №53
ტელ.: +995(422) 27-94-51
ვებ-გვერდი: http://bsma.edu.ge
ფაქსი: +995(422) 27-48-50
ელ. ფოსტა: info@bsma.edu.ge

"დამსაქმებელთა და საერთაშორისო განათლების ფორუმი" არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელსაც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უწევს ორგანიზებას.

ფორუმის ძირითადი მიზანია:

კვალიფიცირებული, თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისა და უკვე არსებული კადრების გადამზადების პროცესში მარეგულირებელთა, დამსაქმებელთა და სოციალურ პარტნიორთა მონაწილეობის გაფართოება, ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საზღვაო აკადემიის სტუდენტებს მიეცათ უნიკალური შანსი შეხვედროდნენ უშუალოდ დამსაქმებელს და მათთვის სასურველ პოზიციაზე გაეკეთებინათ ადგილზევე განაცხადი.

საზღვაო სფეროში კვალიფიცირებული კადრების მომზადების საქმეში წარმატების მისაღწევად აუცილებელია თანამშრომლობა საზღვაო სფეროში მოქმედ მარეგულირებლებთან, სოციალურ პარტნიორებთან და დამსაქმებლებთან.

პროფესიონალი +



www.prof-news.com

სარედაქციო კოლეგია

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით, ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

E-mail:profesionali@mail.ru

28.02.19. - 28.03.19

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის ნარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პლენარული სხდომა, რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრთა განცხადებებით გაიხსნა. დეპუტატების განცხადებები ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტებს დაეთმო.

პარლამენტის წევრმა, გია ჟორჟოლიანმა მთავრობას მიმართა, რომ ყველა შესაძლებლობა გამოინახოს ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებისათვის, რომლის საფუძველიც არსებობს და შესაბამისი ღონისძიებები განახორციელოს საავიაციო წარმოების სრულფასოვნად ამუშავებისთვის. მისივე თქმით, აუცილებლად ასაღორძინებელია მსოფლიოში ცნობილი ქართული ფსიქოლოგიის სკოლა, რისთვისაც საჭიროა დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის აღდგენა.

განათლების საკითხებს, კერძოდ, პრემიერ-მინისტრის ინიციატივას - განათლების სახელმწიფო კონცეფციას გამოეხმაურა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გუგული მაღრაძე, რომლის შეფასებით, ჩვენი ქვეყნის მთავარი კაპიტალი სწორედ მაღალგანვითარებული ტექნოლოგიები, განათლება წარმოადგენს და აუცილებელია, რომ ამ იდეას სათანადო მხარდაჭერა და გამოხმაურება ჰქონდეს უპირველესად მედიის მხრიდან. „ჩვენი ფრონტი უნდა გადიოდეს განათლებაზე, სხვა გზა განვითარებისა ჩვენ არ გაგვაჩნია“, - განაცხადა გუგული მაღრაძემ. მისივე თქმით, საჭიროა და დროულად უნდა მოხდეს ფსიქოლოგიის სკოლის აღდგენა.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ კომიტეტის მიერ საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში ნორმატიული აქტების აღსრულებაზე კონტროლის პროცესის ამ კვირაში დაწყება დაანონსა და განაცხადა, რომ კომიტეტმა ამისათვის ორი მიმართულება აირჩია: ფარმაცევტული კანონმდებლობა და თამბაქოს კონტროლის კანონი.

„ჩვენი კომიტეტი, რეგლამენტის მიხედვით, იწყებს საპარლამენტო ზედამხედველობის ამ ახალი მექანიზმის გამოყენებას, რომელსაც საპილოტე პროექტის სახით პირველმა საფუძველი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა მიაღწია ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობასთან დაკავშირებით“, - განაცხადა აკაკი ზოიძემ. მისი თქმით, ეს პროცესი დაეხმარებათ წამლის ხარისხის გაკონტროლებაში და ხელმისაწვდომობაში. როგორც აკაკი ზოიძემ აღნიშნა, სულ ექვსი თვე გავიდა თამბაქოს კონტროლის კანონის ამოქმედებიდან და გარკვეული შედეგები უკვე სახეზეა - კანონი მოქალაქეთა 85%-ის მხარდაჭერით სარგებლობს.

ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა სიმონ ნოზაძემ ხაშურის რაიონში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. მათ შორისაა მულტიფუნქციური სპორტკომპლექსი. მთელი მასშტაბით მიმდინარეობს სოფლების გაზიფიცირება და პარლამენტის წევრის განცხადებით 2020 წლისათვის ხაშურის რაიონში ყველა სოფელში იქნება გაზი შეყვანილი. დაგეგმილია სამელიორაციო და ინფრასტრუქტურული პროექტები.

„ევროპული საქართველოს“ წევრი, პარლამენტის ვიცესპიკერი სერგი კაპანაძე ოკუპირებულ ტერიტორიაზე ირაკლი კვარაცხელიას სავარაუდო მკვლელობის ფაქტს გამოეხმაურა და კიდევ ერთხელ სამძიმარი გამოუცხადა გარდაცვლილის ოჯახს. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ დროულად დადგინდეს სიმართლე და რაც შეიძლება სწრაფად ჩატარდეს გამოძიება, ხოლო სავარაუდო დამნაშავეები, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, ვინაიდან გარდაცვალების ფაქტს ადგილი ჰქონდა რუსეთის სამხედრო ბაზაზე, შეყვანილ იქნენ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის საქმეში“.

მისივე თქმით, კარგი იქნება თუ საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი პარლამენტში ანგარიშს წარადგენს თუ როგორ ხდება ოთხოზორია-ტატუნაშვილის საქმის, როგორც ფორმირება, ისე ამ საქმეზე მუშაობა და რა ნაბიჯები იდგმება იმისათვის, რომ ეს საქმე გაზიარებული იყოს საერთაშორისო პარტნიორების მიერ.

პარლამენტის წევრი აკაკი ბობოხიძე გამოეხმაურა ირაკლი სესიაშვილის ინიციატივას, რომელიც სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდას ყველა რელიგიური ორგანიზაციის

წარმომადგენელს ავალდებულებს, გარდა მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებისა. ამ საკითხის მიმართ კრიტიკული მოსაზრებები დააფიქსირა და აღნიშნა, რომ საჭიროა ფიქრი პროფესიულ ჯარზე გადასვლისთვის.

სოციალურ პოლიტიკაზე და სოციალური მუშაკების საკითხზე გაამახვილა ყურადღება თავის გამოსვლაში პარლამენტის წევრმა ბექა ნაცვლიშვილმა.

„სოციალური მუშაკები მოკლებულები არიან ყველანაირ შესაძლებლობას, სრულფასოვნად შეასრულონ თავიანთი ვალდებულება გაუმართავი ინფრასტრუქტურის, მათი შრომითი პირობების და ოჯახზე ზრუნვის ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო. ეს არის ჩვენი სავალალო სოციალური პოლიტიკის ბრალი. ჩვენი სოციალური პოლიტიკა არ არის ადამიანების განვითარებაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა, ეს არის ადამიანების ფიზიკურ შენარჩუნებაზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა“, - განაცხადა ბექა ნაცვლიშვილმა და მთავრობას მოუწოდა სოციალურ მუშაკებს შესაბამისი პირობები შეუქმნას სრულფასოვნად მუშაობისა და ფუნქციონირებისთვის.

ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარე ოთარ კახიძემ იმ კანონპროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომელიც უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა შესარჩევ კრიტერიუმებსა და პროცედურებს ეხება.

„მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა სახელმწიფოს ფუნდამენტური საკითხია, რომლის გარეშე არც მოქალაქეა დაცული და რომლის გარეშეც პრაქტიკულად წარმოუდგენელია სახელმწიფოს დაცვა“, - განაცხადა ოთარ კახიძემ და უმრავლესობის დეპუტატებს მიმართა, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით გაითვალისწინონ საკუთარი პასუხისმგებლობები, ვინაიდან პარლამენტის წევრი პასუხისმგებელია თავის გადაწყვეტილებებზე და ეს არ არის უბრალო გადაწყვეტილება.

მისი თქმით, ეს არის გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვინ განწესდება უზენაეს სასამართლოში უვადო მოსამართლედ და ვის ექნება ბოლომდე ჩაბარებული მართლმსაჯულების სისტემის სადავეები.

უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა მთის ეროვნუ-

ლი საბჭოს სხდომის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა პარლამენტს და საბჭოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებაც აცნობა. მნიშვნელოვანია, რომ მთის ფონდიდან 55% მთაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებისკენ წარიმართება. მოხდება ფშავის, ხევსურეთისა და გუდამაყრის 76 სოფლის ინტერნეტიზაცია და ა. შ.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ თავის გამოსვლაში ყურადღება ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე გაამახვილა და პარლამენტსა და საზოგადოებას დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისივე თქმით, პარლამენტი იწყებს განხილვას მიწის უმნიშვნელოვანეს კანონპროექტზე საკონსტიტუციო ჩანაწერის მიხედვით, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიწას იხილავს, როგორც განსაკუთრებულ რესურსს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ორგანული კანონით არეგულირებს.

პარლამენტის წევრების განცხადებების შემდეგ, პარლამენტმა პირველ საკითხად განიხილა პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ზვიად კვაჭანტირაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

საკითხი პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ გამოიტანა და განაცხადა, რომ საკითხი პარლამენტის რეგლამენტის სრული დაცვითაა ინიცირებული.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, ზვიად კვაჭანტირაძე უმრავლესობის მიერ იყო წარდგენილი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე და დღეს, როდესაც ვითარება შეიცვალა და ზვიად კვაჭანტირაძემ დატოვა უმრავლესობა, საპარლამენტო უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება მისი შეცვლის შესახებ.

პარლამენტის წევრთა ერთმა ნაწილმა მოითხოვა იმის გარკვევა, თუ რა იურიდიული საფუძველი აქვს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. პარლამენტარ ეკა ბესელიას განცხადებით, რეგლამენტში არსად წერია, რომ კომიტეტის თავმჯდომარე აუცილებლად უმრავლესობის წევრი უნდა იყოს და ეს თანამდებობა შეუძლია დაიკავოს უმრავლესობის გარეთ მყოფმა პარლამენტის წევრმაც.

პარლამენტის წევრ რატი იონათამიშვილის განცხადებით, როდესაც გუნდს ტოვებ, თანამდებობა მნიშვნელოვანი აღარ უნდა იყოს, სხვა მიდგომებით არაჯანსაღი სტანდარტების დამკვიდრებას ვუწყობთ ხელს.

პარლამენტის წევრების კითხვის საპასუხოდ, ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ განმარტა: „უმრავლესობამ მიიღო გადაწყვეტილება კომიტეტის თავმჯდომარის გადაყენების თაობაზე

- ამას აქვს სუფთა პოლიტიკური საფუძველი“.

ირაკლი კობახიძემ კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საფუძველიც განუმარტა კოლეგებს.

„არის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება პარლამენტის მიერ პოლიტიკური წესით და პოლიტიკური საფუძვლით, არის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება სამართლებრივი საფუძვლით. მაგალითად, იმპიჩმენტი არის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლით, შესაბამისად, მას ესაჭიროება სამართლებრივი დასაბუთება. რაც შეეხება კომიტეტის თავმჯდომარის არჩევას ან გადაყენებას, მას არ ესაჭიროება არანაირი სამართლებრივი დასაბუთება, იმიტომ, რომ ეს არის სუფთა პოლიტიკური საკითხი. პროცედურულად გავლილია ყველაფერი, ანუ პროცედურულად არავითარი ხარვეზი ამ გადაწყვეტილებას არ ექნება, თუმცა, რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, პოლიტიკური დასაბუთება, ყველამ ვიცით, რომ ამ გადაწყვეტილებას არ სჭირდება. არ სჭირდება, როგორც ასეთი, სამართლებრივი საფუძველი. ეს არის ძალიან მარტივი პასუხი კითხვაზე. ხომ არის პოლიტიკური გადაწყვეტილება - მე თავიდანვე განვმარტე ეს, შეიძლება, ყველამ არ მომისმინა, თუმცა, თავიდანვე განვმარტე, რომ საფუძველი ამ გადაწყვეტილებას ჰქონდა პოლიტიკური. შეიკრიბა უმრავლესობა, თავის დროზე იყო უმრავლესობის მიერ წარდგენილი შესაბამის პოზიციაზე ბატონი ზვიად კვაჭანტირაძე, შეიკრიბა კიდევ ერთხელ უმრავლესობა და მიიღო გადაწყვეტილება ბატონი ზვიადის გადაყენების თაობაზე“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით, უმრავლესობის პოზიცია აქამდეც იყო ცნობილი, თუმცა. მისივე შეფასებით, ზვიად კვაჭანტირაძემ უმრავლესობის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება გადაწყვიტა.

პარლამენტმა კენჭი უყარა წინა პლენარულ სხდომაზე განხილულ საკითხებს. ამის შემდეგ პარლამენტმა საკანონმდებლო საქმიანობა გააგრძელა.

პარლამენტის წევრმა ოთარ კახიძემ პირველი მოსმენით განსახილველად წარადგინა საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების მიერ ინიცირებული ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“.

პარლამენტმა ასევე პირველი მოსმენით განიხილა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“. საკანონმდებლო ინიციატივის ავტორები არიან პარლამენტის წევრები: ირაკლი კობახიძე, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, ანრი ოხანაშვილი, გიორგი კახიანი, დავით მათიკაშვილი და გურამ მაჭარაშვილი.

საკითხი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ანრი ოხანაშვილმა გამოიტანა. მისი თქმით, ეს არის პროექტი, რომელიც ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან არის ნაკარნახევი და პასუხობს ყველა იმ კრიტიკას, რაც გაჩნდა საზოგადოებაში, რაც არც მმართველ გუნდს მოეწონა.

„არ მოგვეწონა პროცესი, ამიტომ ქართული ოცნების გუნდმა შეაჩერა ის პროცესი, ვწერთ პროცედურას და მისი დაცვით ჩვენ მივალთ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. შემდეგ ინდივიდუალურად კენჭს ვუყრით კანდიდატებს და მივიღებთ ღირსეულ გადაწყვეტილებას“, - განაცხადა მომხსენებელმა.

დასასრულს, ანრი ოხანაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი გაგზავნილია ვენეციის კომისიაში და ავტორები ელოდებიან ვენეციის კომისიის მოსაზრებებს. მხოლოდ პოზიციების შეჯერების შემდეგ მოხდება კანონპროექტების წარდგენა მეორე მოსმენით განხილვაზე.

ინტენსიური კომუნიკაცია გვქონდა მოსახლეობასთან

„აქცენტები, რომელიც ჩავდეთ 2019 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, სრულად პასუხობს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და იმ გამოწვევებს, რომელიც გვაქვს ქართულ ეკონომიკაში“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის 2019 წლის პროექტების პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. ეს განცხადება ძალიან მრავლისმეტყველი და საყურადღებოა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომ ყველა რეგიონი თანაბრად ვითარდებოდეს და სერვისებზე წვდომა იყოს იმ ხარისხის, როგორც ეს დიდ ქალაქებშია. სწორედ ამიტომ, ნებისმიერი დამატებითი ინვესტიცია ქვეყნის ინფრასტრუქტურაში, ნიშნავს ახალ სიცოცხლეს რეგიონებისთვის და დამატებით შესაძლებლობებს საქართველოს მოქალაქეებისთვის. სადღეისოდ, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა გახლავთ ინკლუზიური ზრდა, რაც, მხოლოდ სწორი და თანაბარი რეგიონული განვითარებით მიიღწევა. ზოგადად, ქვეყანაში ინფრასტრუქტურა ძალიან მაღალი ტემპებით ვითარდება და ექსპერტების გათვლებით 2022 წლის ჩათვლით ყველა ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდება, მათ შორის ისინიც, რომელთა განხორციელება რთულ და კომპლექსურ საინჟინრო გადაწყვეტილებებს ეფუძნება. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი განსაკუთრებული სამრეწველო პოტენციალით არ გამოირჩევა, თუმცა, მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ სოფლის მეურნეობა განიხილება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორზე, მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტან ძირითად სფეროზეა კონცენტრირებული. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პრაქტიკულად სრულად არის ათვისებული. სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე საოჯახო მეურნეობები დომინირებენ, უახლოეს მომავალში სურათი, საგარაუდოდ უკეთესობისკენ კიდევ უფრო შეიცვლება, რაც მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების პროექტებზე და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამ საკითხების განსახილველად, ჩვენ სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულს-გუბერნატორს, ბატონ **ბესიკ ამირანაშვილს** ვესაუბრეთ.

- ბატონო ბესო, რა სიახლეებია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში?

- ჩემი თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან მოყოლებული, რეგიონში ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ და მუშაობა ყველა მიმართულებით ახლაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. ყველა მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად ხდება წინა წლების განმავლობაში დაგროვებული პრობლემების მოგვარება და შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ქვეყანაში პროექტების წარმატებით შესრულების მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული რეგიონი გახლავართ. 2019 წელს გაცილებით დიდი გეგმები გვაქვს. გვინდა მაქსიმალურად ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელოთ, რომლებიც საზოგადოების საჭიროებებზე იქნება მორგებული. მინდა აღვნიშნო, რომ პირადად

მე, გუბერნატორის აპარატთან ერთად, ყველა ის ლოკაცია მოვინახულეთ, სადაც წელს ვაპირებთ აქტიურ საქმიანობას. ინტენსიური კომუნიკაცია გვქონდა მოსახლეობასთან და სკურპულოზურად გავიარეთ ყველა ის პროექტი, რომლებზე მუშაობასაც გაზაფხულიდან ვიწყებთ.

- იქნებ მუნიციპალიტეტების მიხედვით მოგვიყვეთ, უფრო დაწვრილებით?

- ადიგენის მუნიციპალიტეტში, რომელიც წლების განმავლობაში მცირე ბიუჯეტიან და გაჭირვებულ რაიონად ითვლებოდა, წელს დიდი გეგმები გვაქვს. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, მოხდება ფხერო-შოყა-ოქროს ციხის, მოხე-ციხისუბანი-ნამინაურის და ხევაშენი-ნაქურდევის დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება ვარხნის, წახნის, არალის ბოლაჯურის და პატარა სმადის გზების განახლება. ლელოვანი-ამხერის და ქვემო ენთელის მონაკვეთზე იგეგმება სანიაღვრე არხების მოწყობა. სოფელ გორგულში გავამაგრებთ საავტომობილო გზის საყრდენ კედელს. გარდა ამისა, დაგეგმილია საბავშვო ბაღების, სახიდე გადასასვლელების, წყლის შიდა და გარე განათების ქსელების რეაბილიტაცია. აბასთუმანში გარემონტდება რუსთაველის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები. ცენტრალური მთავრობის დახმარებით კაპიტალურად უნდა გაკეთდეს გზა ზარზმა-ხულო-ბათუმის მიმართულებით, რომელიც ძალიან დაეხმარება უამრავ ტურისტს, რომელიც ამ მიმართულებით, მათ შორის ჩვენი მეზობელი სომხეთიდან გადაადგილდება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მხოლოდ აბასთუმანში 300 ისტორიული სახლის რეაბილიტაცია გვაქვს დაგეგმილი.

- ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა რა სიახლეებს უნდა ელოდეს?

- აქაც ბევრი პროექტი იგეგმება, რაც ადგილობრივი მერიის და საკრებულოს დიდი დამსახურებაა. მნიშვნელოვნად შეიცვალა და გალამაზდა ასპინძის ცენტრი და საფუძველი ჩაეყარა უამრავ ახალ წამოწყებას. აქაც მოხდება ცენტრალური გზიდან სოფელ აწყვიტამდე მისასვლელი გზის, დაბა ასპინძის შიდა ქუჩების და მრავალსართულიანი კორპუსების რეაბილიტაცია, ტოლოშის ბაგა-ბაღის რემონტი, ოშორის და დამალის შიდა გზების რეაბილიტაცია, რომელსაც, ასევე რეგიონული განვითარების ფონდი დააფინანსებს. ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდება 9 პროექტი. მათ შორის - გარე განათების მოწყობა ივერიაში, ფიაში, ორგორაში, საყუდაბელსა და ძველში. სოფელ რუსთავის კლუბის და ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია. ასპინძაში ე.წ. აბანოს გორაზე სარეკლამო ბანერის მოწყობა და მერიის მიმდებარედ კულტურისა და დასვენების პარკის განახლება. გარდა ამისა, განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების, ქუჩების და ხიდების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები.

- ახალციხეში მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციაა დაგეგმილი...

- დიახ, ეს შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და მას განსაკუთრებულად მივხედავთ. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების ფონდი - 9, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 31 პროექტს დააფინანსებს. ესენი გახლავთ საავტომობილო, ადგილობრივი და შიდა გზების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადების, სადარბაზოების და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა, სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა, როგორც რემონტი, ისე ახლის შშენებლობა. მოეწყობა ეზოები, სკვერები და სპორტული მოედნები, გავმართავთ სანიაღვრე არხებს და მოვაწესრიგებთ გარე განათებას. კულტურის სახლის, სპორტ-სკოლის და სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციაა დაგემილი ქალაქ ახალციხეში, აწყურში, ტყემლანსა და აგარაში. აშენდება სპორტული მოედნები, რიტუალების სახლები და მოხდება მათი სათანადო

აღჭურვა. გაუმჯობესდება სოფლების სასმელი წყლით მომარაგება, რისთვისაც ჩატარდება წყლის მაგისტრალების გამართვა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია.

– ახალქალაქის მუნიციპალიტეტში აქცენტი გზების რეაბილიტაციაზე გაქვთ გადატანილი...

- ამ ეტაპზე, ახალქალაქში სწორედ ამ მიმართულების საქმიანობა იგეგმება. ვაპირებთ ბავრა-კარტიკამი-აბულის, ახალქალაქი-კარწახი-ვაჩიანი-ოკამი-აზმანა-ქარცეპი-აფნია-გოგაშენის, ახალქალაქი-არაგვა-გომანი-ზაკი-ბუღაშენი-მერენია-იხტილის მონაკვეთების მოასფალტებას, ხოლო ბარალეთი-კოჩიოს გზაზე I და II ეტაპის სამუშაოები დასრულდება. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 4 პროექტის განხორციელება, რაც ვარეანის და ხორენიის სასმელი წყლის წყალსადენის რეაბილიტაციას, კუმურდოში საბავშვო ბაღის მშენებლობას და მუნიციპალიტეტის გზების თოვლისაგან გაწმენდას მოიცავს.

– ბორჯომსაც საკმაოდ კარგი დაფინანსება აქვს...

- ვფიქრობ, წელს ბორჯომში ინფრასტრუქტურული საქმიანობის კუთხით მართლაც საკმაოდ დატვირთული პერიოდი იქნება. ჯერ მარტო ადგილობრივი ბიუჯეტით 44, ხოლო რეგიონული განვითარების ფონდის მხარდაჭერით 10 პროექტის განხორციელება იგეგმება. ასფალტის საფარი დაიგება ქალაქ ბორჯომში ე.წ „დიდი მინდორის“ სკვერთან მისასვლელ ჩიხში. იგივე სახის სამუშაოები ჩატარდება ცემში, ბაკურიანსა და კორტანეთში. რველში (ბანისხევი) და დაბა ახალდაბაში მოხდება ხიდების რეაბილიტაცია. მოეწყობა ყვიბისის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და აღდგება შიდა ქსელი. ბორჯომში ვგეგმავთ კანალიზაციის ქსელის შეკეთებას, საყრდენი კედლების მოწყობას და ტროტუარების განახლებას. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პარალელურად გაფართოვდება გარე განათების ქსელი და მოეწყობა სანიაღვრე არხები. მუნიციპალიტეტის მასშტაბით აშენდება სკვერები, სპორტული მოედნები, საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღი. ამხანაგობის ფარგლებში განხორციელდება სახურავების, სადარბაზოების, ფასადების რეაბილიტაცია. გარემონტდება სამუსიკო სკოლა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი.

– დასასრულს, ნინოწმინდაზეც გვითხარით...

- სხვა რაიონებს არც ეს მუნიციპალიტეტი ჩამორჩება. ქალაქ ნინოწმინდაში მოასფალტდება გოგოლის შესახვევი, კარლ მარქსის, ისაჰაკიანის, ძერჟინსკის, წერეთლის, ბაგრამიანის, კამოს, ერევნის, მაშტოცის, შაუმიანის, სომხეთის, ტოლსტოის, ჯაფარიძის, ხოჯაბეკის, აბოვიანის, ლერმონტოვის და თბილისის ქუჩები. ასფალტს დავაგებთ ასევე სათხა-სპასოკის, ნინოწმინდა-ოროჯალარის მონაკვეთებზე და მამწვარას გზაზე. გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტი დააფინანსებს ნინოწმინდაში საკანალიზაციო ქსელის მოწყობას, შიდა მისასვლელი გზების და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების მოასფალტებას. მოხდება წყალსადენი სისტემის, და სპორტული დარბაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ხოლო მუნიციპალიტეტის სპორტულ დარბაზებისა და ქ. ნინოწმინდის სპორტული სკოლისათვის შეიძენთ ინვენტარს. იგეგმება რიტუალური სახლების, საბავშვო ბაღების და მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა, საგზაო ნიშნების შეძენა და მათი მონტაჟი. დამატებით, დაგეგმილია ქალაქ ნინოწმინდის ძველი ბაზრის მშენებლობა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია.

– მართლაც, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას აპირებთ...

- სრულიად გეთანხმებით და დარწმუნებული ვარ, ეს გარემოება მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს რეგიონის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე. მაქსიმალურად ვეცდებით მოვიზიდოთ ინვესტორები, გავაფართოვოთ, როგორც ძვირადღირებული, ისე საოჯახო ტიპის სასტუმროთა ქსელი, რომლებიც ყველა სეზონზე იმუშავებენ. ყურადღება კვლავაც მიექცევა სოციალურ პროექტებს. უყურადღებოდ არ დაგვრჩება, არც ერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი და მჯერა, რომ ჩვენს მოსახლეობას მოკლე ხანში შევუმსუბუქებთ მდგომარეობას და მათ ნდობას სრულად გავამართლებთ.

2019 წელი საკმაოდ დატვირთული იქნება

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური რეფორმები განახორციელა, რომელთა მთავარი მიზანი - ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირება, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება და კორუფციასთან ბრძოლა გახლდათ. სწორედ ამ რეფორმების შედეგად, საქართველომ, როგორც ცენტრში, ასევე რეგიონების მიმართულებით, ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია. პარალელურად, თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, თვითმმართველ ქალაქებში მართლაც რეალურად ვითარდება ინფრასტრუქტურა, უმჯობესდება სოციალური მომსახურება, იზრდება საწარმოების, კულტურული, სასწავლო, სპორტული და საზოგადოებრივი დაწესებულებებისა თუ ობიექტების რაოდენობა და ფუნქციონირების ხარისხი. რეგიონების ხელმძღვანელების მიერ ქვეყნის საერთო მომავლის ხედვა, თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე, გულისხმობს მნიშვნელოვნად გაჯანსაღებულ გარემოს, თანამედროვე ცხოვრების წესით და ახალი საწარმოებით, გაუმჯობესებული გზებით და შიდასატრანსპორტო სქემით. ამ ფონზე, ასპინძის თვითმმართველობა სრულად აცნობიერებს ყველა დაინტერესებული პირისა და ფენის ჩართულობის მნიშვნელობას იმ საქმიანობაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება. ეს გარემოება, მართლაც სასიცოცხლოდ აუცილებელია დასახული გეგმების განხორციელების წარმატებულობისა და განგრძობადობის უზრუნველსაყოფად. ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში ასპინძაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების აბსოლუტური უმრავლესობა განხორციელდა, როგორც ცენტრალურ გზებზე, ასევე შიდა ქუჩებზე დაიგო გზის საფარი, სრულდება საბავშვო ბაღების განახლება, ხოლო, 2019 წლისთვის, ახალი პროექტების სიჭარბეა მოსალოდნელი. ამ მიღწევებსა და წელს დაგეგმილ სამუშაოებზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **როსტომ მაგრაქველიძე** გვესაუბრა და პროექტები უფრო დაწვრილებით განიხილა...

- ბატონო როსტომ, თავდაპირველად 2018 წელს განხორციელებულ პროექტებზე გკითხავთ...

- გასულ, 2018 წელს არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელეთ. დავასრულეთ 4 რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტი - თოკსა და ვარგავში მისასვლელი გზის რეაბილიტაციის III და ოთაში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოს II ეტაპი, დაბა ასპინძაში ჭავჭავაძის I და II ჩიხების, ტაბიძის, მარჯანიშვილის, გოგებაშვილის, გორგასლის ქუჩების რეაბილიტაცია და ვაჟა-ფშაველას, ყაზბეგის, დედაენის, ერეკლე II-ის ქუჩების აღდგენითი სამუშაოები. პარალელურად, მთის ფონდის მეშვეობით, მთლიანად დაფინანსდა ჭობარეთი-მუსხის დამაკავშირებელი გზის 3,9 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტის კულ-

ტურის სახლის დარბაზისა და სცენის რემონტი და ვარნეთის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია, რასაც ხანგრძლივი და ძლიერი წვიმების შედეგად მაღალმთიან საძოვრებსა და სათიბებთან მისასვლელი გზების აღდგენითი სამუშაოები დაემატა.

- ადგილობრივი ბიუჯეტით რა სამუშაოები განხორციელდა?

- მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით დაბა ასპინძაში დასრულდა ვარძიის ქუჩის რეაბილიტაცია, ჭობარეთი-მუსხის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე განთავსდა პარაპეტების სპეც-პროფილის ე.წ. „ნიუჯერსები“, ხოლო სტიქიით დაზარალებულთათვის მოხდა სხვადასხვა სამშენებლო მასალის შესყიდვა. გარდა ამისა, განხორციელდა რეგიონული განვითარების ორი პროექტი - დაბა ასპინძაში 9 აპრილისა და სულხან-საბა ორბელიანის ქუჩების რეაბილიტაცია და ასპინძის ომის მემორიალური კომპლექსის მიმდებარედ დეკორატიული კედლების და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. პარალელურად, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მიზნით, დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 500-მდე ადამიანს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 216 000 ლარი იყო გამოყოფილი.

- რაც შეეხება ტურიზმის განვითარებას რაიონში...

- ვფიქრობ, იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გავზარდოთ შემოსავლები და ხელი შევუწყოთ ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებას, აუცილებელია ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზებისა და ინფრასტრუქტურის სრული მოწესრიგება. ამ კუთხით, 2018 წელს რამდენიმე პროექტი დასრულდა - ვანის ქვაბებში აშენდა ვიზიტორთა ახალი საინფორმაციო ცენტრი და მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა სტუმართა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ხერთვისის ციხეზე მოეწყო გარე-განათება, თანამედროვე ტიპის სველი წერტილები, საპარკინგე ადგილები, აშენდა და ფუნქციონირება დაიწყო „ტურისტული მომსახურეობის ცენტრმა“. ვარძიაში, ასევე განხორციელდა ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა, ვარძიიდან სოფელ მირაშხნამდე დაეგო 6.5 კმ. ასფალტო-ბეტონის გზა. გზაზე ტურისტებისათვის დამატებით განთავსდა საორიენტაციო მანიშნებლები.

- წელს რა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება იგეგმება?

- 2019 წელი საკმაოდ დატვირთული იქნება ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის, რადგან ბევრი სასარგებლო, საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტია დაგეგმილი, რომელთა დაფინანსება სხვადასხვა საბიუჯეტო სახსრებიდან მოხდება. განხორციელდება ცენტრალური გზიდან სოფელ აწყვიტამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის, ოშორის და დამალის შიდა გზების რეაბილიტაცია. გარემონტდება სოფელ ტოლოშის და რუსთავის საბავშვო ბაღები და სოფელ რუსთავის კლუბი. მთის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 500 000 ლარი მოხმარდება დაბის სარწყავი არხების აღდგენა-რეაბილიტაციას. ოვერიაში, ფიაში, ორგორაში, საყუდაბელში და ძველში მოეწყობა გარე-განათება ხოლო ხიზაბავრაში, საროსა და ვარგავში მოხდება სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის და სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. ცალკე საკითხია დაბა ასპინძა, სადაც დაგეგმილია კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია და მერიის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. განახლდება ე.წ. სამკუთხა სკვერი. საერთაშორისო მნიშვნელობის ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის მონაკვეთზე იგეგმება წრიული მოძრაობის მარეგულირებელი „კუნძულების“ მოწყობა. ასევე განხორციელდება მრავალსართულიანი კორპუსე-

ბის სადარბაზოების, დაბის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია.

- მუნიციპალიტეტში ბევრი საინტერესო სპორტული ღონისძიება ტარდება...

- სასიხარულოა, რომ მომავალ თაობაში სპორტის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. გასულ წელს სპორტის სამსახურმა მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა ტურნირს გაუწია ორგანიზება - ჩატარდა ჩემპიონატები კალათბურთში, ფეხბურთში, მინი-ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ნარდში, მკლავჭიდში, ქვის აზიდვასა და გეზრბენში. რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა. თბილისში საქართველოს ბავშვთა და სასკოლო-სპორტული ფედერაციის ორგანიზებით გამართულ „საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა 2018“-ში, აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონის სტატუსით მონაწილეობას იღებდა სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რაც სხვა სკოლის მოსწავლეებისთვის დიდი მაგალითის მიმცემი იყო. შარშან, წარმატებული წელი გამოდგა მორაგბეებისთვისაც. რეგიონული სარაგბო გუნდი „ტაო“ პირველ ლიგაში დაწინაურდა და სწორედ იქ აგრძელებს ასპარეზობას.

- სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით...

- იმ უამრავ პროექტთან ერთად, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ, 2019 წელს, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსდება და განხორციელდება სსიპ საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი შენობის მშენებლობა, რომლის ღირებულება 238 299 ლარს შეადგენს. დაბა ასპინძაში მოხდება საჯარო სკოლის ცენტრალური გათბობის სისტემისა და სკოლის შენობაში თანამედროვე სველი წერტილების რეაბილიტაცია. სრულიად შეიცვლება სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მეორე კორპუსის სახურავი. გარდა ამისა, მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის განკარგულებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასპინძის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 310 00 ლარი, საიდანაც ერთი ნაწილი საჯარო სკოლებში მოსწავლეების ტრანსპორტირებას, ნაწილი კი სკოლების ინფრასტრუქტურას მოხმარდება. აშენდება სოფელ ორგორის ახალი საჯარო სკოლა. დარწმუნებული ვარ, ზემოაღნიშნული პროექტები ხელს შეუწყობს ასპინძის მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის მომსახურების ეფექტიანობას, განათლების ხარისხის ზრდას, ტურიზმის განვითარებას და საერთო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

დიდი მხარდაჭერა გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან

საქართველო, უკვე წლებია, ისწრაფვის ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფო გახდეს და დანარჩენ მსოფლიოსთან სრულფასოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაცია მოახდინოს. ამ მიმართულებით, ქვეყანაში, მართლაც რომ მნიშვნელოვანი დარგობრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები განხორციელდა. მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონულ განვითარებას. თანმიმდევრული დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ერთეულების წამყვანი როლი მიმდინარე პროცესების სტიმულირებაში ცალსახად განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთო ეროვნული წარმატების მისაღწევად. დღეს, საქართველოს მთავრობა ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროსაბჭოსთან დეცენტრალიზაციის განვითარების კუთხით, პირნათლად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და სანდო პარტნიორად ჩამოყალიბდა. სწორედ ეს პროცესები განიხილება თვითმმართველობის განვითარების გზაზე უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად. ამიტომ, აქტიურად მიმდინარეობს საშუალო ვადიან სტრატეგიაზე მუშაობა და მისი შექმნის მიზანი ეფექტური, ძლიერი და შედეგზე ორიენტირებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება გახლავთ. შესაბამისად, აუცილებელია ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ნდობის პროცესის ამაღლება, თვითმმართველობა უნდა გახდეს კიდევ უფრო გამჭვირვალე, სანდო და დაფუძნებულ იყოს დემოკრატიის პრინციპებზე. ასეთ ვითარებაში კონკრეტულად იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების როლი, წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას და შექმნას თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ზემოხსენებულ საქმიანობას, ახალქალაქში, ქალაქის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იური უნანიანი** წარმართავს და სწორედ მისი მეთვალყურეობით მიმდინარეობს ის პროცესები, რომლებმაც, დადებითად უნდა იმოქმედოს რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზე...

- ბატონო იური, მოგვიყვით უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ პროექტებზე...

- ჩვენს მუნიციპალიტეტში შეამჩნევდით, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში, სიტუაცია უკეთესობისაკენ რეალურად და თვალსაჩინოდ არის შეცვლილი. უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებად რაიონში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წყალ-კანალიზაციის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და სოციალური პროექტები განისაზღვრა. რეგიონული განვითარების ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა 5 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 4 657 938 ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტში მოასფალტდა ბავრა-კარტიკამი-აბულის, ახალქალაქი-კარწახის, ახალქალაქი-არაგვა-გომანის გზის მონაკვეთები. დასრულდა ბარალეთი-კოჩიოს გზის მოასფალტების I და II ეტაპები და დავამთავრეთ ახალქალაქ-

ის მცირე ქუჩებისა და ჩიხების ქუჩების რეაბილიტაცია.

- თუმცა, თქვენი საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა...

- გარდა ზემოხსენებულისა, გასულ წელს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ წყლის სისტემების, საბავშვო ბაღების, რიტუალების სახლებისა და სოფლის კლუბების აღდგენა-განახლებას. წარმატებით დასრულდა ხორენიის, ვარევანის, ტურცხისა და ლომატურცხის სასმელი წყლის სისტემების აღდგენა. კუმურდოში, აზავრეთსა და ბარალეთში საბავშვო ბაღების შენობების, ხოლო ბურნაშეთში - რიტუალების სახლის რემონტი რეგიონული განვითარების ფონდმა დააფინანსა. სოფელ სულდაში ჩატარდა ადმინისტრაციული შენობის, ხოლო ვარევანში კლუბის აღდგენითი სამუშაოები. ახალქალაქსა და მიმდებარე სოფლებში მოეწყო გარე განათება და 5 დასასვენებელი ფანჩატური.

- წელს რა მიმართულებით მიმდინარეობს საქმიანობა?

- გასულ წელს დაგეგმილ პროექტთაგან, იყო რამდენიმე, რომელიც ვერ დასრულდა და ისინი მიმდინარე წელს გადმოვიტანეთ. ყოფილი მე-15 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო ეზოების კეთილმოწყობა და ეს სამუშაოები ამჟამად სრული დატვირთვით მიმდინარეობს. იგივე მდგომარეობაა სოფელ ვაჩიანში სკოლამდე არსებული გზის მიმართულებით. დამატებით, გვაქვს ახალი პროექტი, რომელიც 9 აპრილის მემორიალის მოწყობას ითვალისწინებს და ამ გზაფხულზე განხორციელდება.

- სოციალური მიმართულებით რა მდგომარეობაა?

- შემიძლია ვთქვა, რომ ამ მიმართულებით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ შეძლებისდაგვარად წარმატებით იზრუნა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე და მათ საკეთილდღეოდ. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მრავალი პროექტია განხორციელებული, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი ხალხის საცხოვრებელი და საარსებო პირობების გაუმჯობესებას. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ვფიქრობ, რომ პრიორიტეტულია სასმელი და სარწყავი წყლის, გზის მშენებლობის და გაზიფიცირების პრობლემის ძირეული გადაჭრა. რეალური პროგრამები უნდა შემუშავდეს და პრიორიტეტები უნდა დაწესდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ასევე მნიშვნელოვანია, მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ნებისმიერი პროექტის ეფექტიანი განხორციელების წინაპირობა გახლავთ.

- სამომავლო გაგებზეც გვითხარით...

- როგორც მოგახსენეთ, 2019 წელს რიგი პროექტები უნდა განვახორციელოთ. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი დაახლოებით 30 კმ. გზების მოასფალტებაა. ესენია ბავრა-კარტიკამ-აბულის მონაკვეთი, ახალქალაქი-კარწახის საავტომობილო ტრასიდან - ვაჩიან-ოკამი-აზმანა-ქარცები-აფნია-გოგაშენის გზის ნაწილი და ახალქალაქი-არაგვა-გომანის საავტომობილო ტრასიდან - ზაკვი-ბუღაშენი-მერენია-იხტილის მონაკვეთი. ამასთან ერთად, აქტუალურია სკოლების გარემონტება დილისკასა და აზავრეთში, ხოლო კუმურდოში, კულიკასა და გოგაშენში საბავშვო ბაღების მშენებლობა. პარალელურად, 3 სოფელში დაგეგმილი გვაქვს სამედიცინო პუნქტების გახსნა და სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ თითოეული ამ პროექტის განხორციელებაში დიდი მხარდაჭერა გვაქვს სახელმწიფოს მხრიდან, რაც უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს ადგილობრივ ხელმძღვანელობას და გვაიმედებს, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი და განვითარებული გახდება.

ნინოწმინდის მოსახლეობისთვის ბევრი პრობლემური საკითხი მოვაგვარეთ

როგორც ცნობილია, დღევანდელი არაპროგნოზირებადი საერთაშორისო გარემო უდიდესი გამოწვევებისა და რისკების წყაროა, განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველო გახლავთ. ამგვარ გარემოში საფრთხეების თავიდან აცილება და თითოეული შესაძლებლობის გამოყენება, ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშნელობას იძენს. საბედნიეროდ, უკანასკნელ ხანს საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა ძველ რიტმს უბრუნდება და ბიძგს აძლევს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდას, რაც სამომავლოდ სწრაფი განვითარების პოტენციალის მანიშნებელია. ასეთ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა ხდება. ამ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, როგორც კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამების, მათი განხორციელების ვადების, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა, ისე - რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ინვესტიციების წახალისება და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. ინიციატივას - ,,მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით რამოდენიმე შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფი წინასწარ ამზადებდა საკითხებს შეხვედრებისა და დისკუსიისთვის, შემდგომ კი მათ მოსაზრებებს განიხილავდა, რომელიც გამოყენებული იქნა სამოქმედო გეგმის არსებული მდგომარეობის ნაწილისათვის და მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად. სწორედ ამ პრიორიტეტულ საკითხებს და მწვავე პრობლემებს, რომელიც დღეს რაიონის ტერიტორიაზე არსებობს, ყურადღებას არ აკლებს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი, ქალბატონი **ანივარდ მოსოიანი,** ვისი წარმატებული საქმიანობაც, არც ჩვენ დაგვრჩენია უყურადღებოდ...

- ქალბატონო ანივარდ, 2018 წლის განმავლობაში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არაერთი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა...

- გასულ წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში პრიორიტეტული მიმართულებები საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა გახლდათ. 53 გამოცხადებული ტენდერიდან 29 წარმატებით დასრულდა, 24 კი კვლავაც მიმდინარეობს. რეგიონული განვითარების ფონდის ხელშეწყობით გათვალისწინებული იყო ნინოწმინდაში ქუჩების მოასფალტება, რომელიც გოგოლის შესახვევს, კარლ მარქსის ქუჩის დარჩენილ ნაწილს, ისაჰაკიანის, ძერჟინსკის, წერეთლის, ბა-

გრამიანის, კამოს, ერევნის, მაშტოცის, შაუმიანის, სომხეთის, ტოლსტოის, ჯაფარიძის, ხოჯაბეკის, აბოვიანის, ლერმონტოვის, და თბილისის ქუჩებს მოიცავდა. ამას დაემატა სოფლების - სათხის, სპასოვკის, მამწვარას და ნინოწმინდა-ოროჯალარის მონაკვეთის ასფალტის საფარით დაფარვა.

- ადგილობრივი ბიუჯეტი ალბათ, რამდენიმე მიმართულებით დაიხარჯა...

- ჩვენი ფინანსები, რასაკვირველია, რამდენიმე პრიორიტეტულ საკითხზე გადანაწილდა. მათ შორის იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. მათი ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, დღის წესრიგში დადგა სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება, რაც წარმატებით დასრულდა. ქალაქ ნინოწმინდაში განვახორციელეთ მოსწავლე-ახალგაზრდული სახლის გათბობის სისტემის რეკონსტრუქცია, საქალაქო ბაღში მდებარე მინი სტადიონის მე-2 ეტაპის სამუშაოები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია და მინი სტადიონის მშენებლობა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩავატარეთ სოფლის კლუბების და რიტუალების სახლების სარემონტო სამუშაოები, შევაკეთეთ სპასოვკის კლუბი, განხორციელდა ოროჯალარის, სპასოვკის, გორელოვკის, ტამბოვკის მინი სტადიონების მშენებლობა. მოხდა ორი საბავშვო მოედნის შეძენა და მონტაჟი, დასრულდა ყაურმის სპორტ-დარბაზი, ხოლო განძის დარბაზის მშენებლობა მე-3 ეტაპზე გადავიდა. სოფელ საღამოს დედათა მონასტერში დამონტაჟდა გათბობის სისტემა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის შევიძინეთ ამწე კალათის ავტომანქანა და სანაგვე კონტეინერები.

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში საპროექტო წინადადებების შერჩევის საერთო კრებები გაიმართა...

- „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში საპროექტო წინადადებების შერჩევის ეგიდით გამართულ შეხვედრებზე, რომელთა ნაწილს მე და ჩემი თანამშრომლები პირადად ვესწრებოდით, მოსახლეობის ხმათა უმრავლესობით რამოდენიმე პროექტმა გაიმარჯვა. შესაბამისად, წელს მოხდება სოფლების გზების რეაბილიტაცია, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და შესაბამისი ინვენტარის შეძენა, ყურადღებას მივაქცევთ კულტურის ობიექტებს და წყალმომარაგების სისტემებს.

- კიდევ რა მიმართულებები დაფინანსდა?

- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის, ერთ-ერთ პრიორიტეტს, კომუნალური ინფრასტრუქტურის აღდგენა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, გასულ წელს წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა-აღდგენის პროექტები განვახორციელეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქში ჩატარებული სამუშაოები, რომლის დროსაც მიასნიკიანის, აბოვიანის, კარსის, ჩარენც-რუსთაველის, სპანდარიან-პუშკინის, ერევნის, ძერჟინსკის, და გაგარინის ქუჩებს ჩაუტარდათ რეაბილიტაცია. გარდა ამისა, აღსანიშნავია კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა. 25 წლის შემდეგ, ამუშავდა ეშტია-ნინოწმინდის წყალსადენის სისტემა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების ნინოწმინდის კომპანიის“ წარმომადგენლებს, რომლებმაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, ქალაქ ნინოწმინდის მოსახლეობისთვის ფრიად პრობლემური საკითხი ნაწილობრივ მაინც მოაგვარეს. აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამუშაოები უკვე დასრულებულია და აღნიშნული წყალსადენის სისტემა წყალმომარაგების აუზს შეუერთდა.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები და პრიორიტეტები?

- როგორც უკვე მოგახსენეთ, იმ პრობლემებს გავითვალისწინებთ, რომლებიც სამწუხაროდ მუნიციპალიტეტში ჯერ კიდევ ბევრია, იძულებული ვართ ჩვენი ძალისხმევა რამდენიმე მიმართულებით წარვმართოთ. 2019 წლის პრიორიტეტებში შედის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის 10 სკოლაში ჩატარდება სარემონტო სამუშაოები და აშენდება 2 საბავშვო ბაღი. პარალელურად, ქალაქში ახალი, თანამედროვე ბაზრის მშენებლობაა დაგეგმილი. კვლავ უმთავრესი იქნება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის მნიშვნელოვანი შემცირება. ამისთვის, ვფიქრობ, განსაკუთრებული ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის, წახალისება სჭირდება კოოპერაციულ მოძრაობას. ამასთან ერთად, ჩვენი მხარე ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი პროდუქტებით, ეკოლოგიურად სუფთა ხილითა და ბოსტნეულით. როგორც ხედავთ, პოტენციალი დიდია და სამოქმედოც უამრავი. მთავარია ჩვენი მუშაობა წარიმართოს ისე, რომ უახლოეს მომავალში ნინოწმინდაში ცხოვრება და ყოფა უფრო კომფორტული გახდეს მოსახლეობისთვის.



საქართველოში ბოლოდროინდელი პოლიტიკური არასტაბილურობის და ეკონომიკაში წარმოშობილი ხარვეზების მიუხედავად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება. გარდა ამისა, მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება - 2019 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება, ვინაიდან, თავისუფალი ეკონომიკის კურსი, შესაბამისად უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ბორჯომის მუნიციპალიტეტში მშვენივრად ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში და მზად არიან საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის წარმატებებს ბოლომდე მოახმარონ. შესაბამისად, აქტიურად განიხილება საოჯახო სასტუმროების მფლობელთა პრობლემები და მათი წახალისების საკითხები. დღის წესრიგში დგას ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ფაქტია, რომ ამ სექტორში არსებულ სიახლეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას მთელი რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ლევან ლიპარტია** მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრა.

მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს

— ბატონო ლევან, რა სამუშაოები განახორციელეთ რაიონში გასული წლის განმავლობაში?

- გასული, 2018 წელი, განსაკუთრებით დატვირთული გახლდათ ინფრასტრუქტურული პროექტების კუთხით. მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა, როგორც ქალაქ ბორჯომში ასევე მის სოფლებში. დაბა ბაკურიანში განხორციელდა ბასიანის, ლებანიძის, ახალშენის, თორის, ხერგიანის, ჭავჭავაძის ქუჩებისა და ჩიხების, ასევე მთის ქუჩის ჩიხების რეაბილიტაცია. მოეწყო დამატებითი საპარკინგე ადგილები და მოხდა ბაკურიანში დიდველთან მისასვლელი ალტერნატიული გზის გაყვანა, რომელიც 1 კმ. სიგრძისაა. ეს გზა ახალ დასახლებაში გავა და მნიშვნელოვნად განტვირთავს ცენტრალურ მაგისტრალს მანქანების ჭარბი რაოდენობისაგან. პირველად დაიგო გზა ბაკურიანი-ანდეზიტი-ციხიჯვრის მიმართულებით. ასფალტო-ბეტონის საფარი მოეწყო 8 კმ. სიგრძის მონაკვეთზე. მიმდინარეობს ბაკურიანის 3 კმ. შემოვლითი გზის მშენებლობა. ამ პროექტის განხორციელების შემდეგ ბაკურიანი განიტვირთება არსებული საცობებისგან, ხოლო ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა კომფორტულად შეძლებს გადაადგილებას. პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი დასრულება 2019 წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი. დავასრულეთ ცხრაწყაროს უღელტეხილიდან სოფელ ბალანთამდე დამაკავშირებელი გზის 23 კმ. მონაკვეთის მოწესრიგების სამუშაოები. პროექტის ფარგლებში საკალ ნაწილზე ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტი მოეწყო და მოსწორდა, გზის მთლიან სიგრძეზე გაიწმინდა კიუვეტები. სამუშაოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესა გზის საფარის მდგომარეობა და მოქალაქეებს გზაზე გადაადგილება უკვე უსაფრთხოდ შეუძლიათ. პარალელურად, ბორჯომში, ჩარხისწყლის დასახლებაში დასრულდა სამანქანო ხიდის რეკონსტრუქციის სამუშაოები. მასშტაბური პროექტის ფარგლებში, ხიდზე მოეწყო ახალი გზის საფარი, ტროტუარები, მოაჯირები და განათებები. მოცულობითი სამუშაოები ჩატარდა ბურჯებზე, მოხდა მათი გამაგრება, რამაც ხიდზე გადაადგილება სრულიად უსაფრთხო გახადა. გარდა ამისა, დასრულებულია 7 ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები. მათგან 4 ქალაქ ბორჯომში მდებარეობს. 3 კი - დაბა ბა-



კურიანში, სოფლებში ზანავსა და სადგერში. პროექტების ფარგლებში მოეწყო ქვაფენილი, საყრდენი კედლები, მოაჯირები, დეკორატიული სანათები, სკვერებში განთავსდა ტრენაჟორები, ატრაქციონები, სკამები, სანაგვე ურნები, დაირგო მცენარეები. 4 სოფელში განხორციელდა ასევე სპორტული მოედნების მოწყობა.

- ბორჯომის ცენტრალურ პარკს რაც შეეხება...

- ახლახან, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით, სწორედ ბორჯომის ცენტრალური პარკის განვითარების კონცეფციის შემუშავების თემაზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა. ინიციატივა პარკის ისტორიულ-კულტურული ფუნქციების შენარჩუნებასა და განვითარებას გულისხმობს, რომელიც მომავალი წლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახდება. უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტი პარკის განვითარების კონცეფციის შემუშავებაზე კონკურსს გამოაცხადებს, ხოლო მასში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და საინიციატივო ჯგუფს შეეძლება. კონკურსის დასრულების შემდეგ კომპეტენტური ჟიურისა და საზოგადოების ჩართულობით, გამოვლინდება გამარჯვებული, რომლისთვისაც ფულადი ჯილდო იქნება დაწესებული.

- გრძელდება შეხვედრები "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში...

- მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები მოსახლეობას ადგილზე ვხვდებით და პროგრამის შესახებ ინფორმაციას დეტალურად ვაწვდით. კონსულტაციებზე და კრებებზე ხდება მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი წინადადებების კენჭისყრა. ამ ეტაპზე, ხმათა უმრავლესობით, დასახლებებში შემდეგმა პროექტებმა გაიმარჯვეს - სკვერებისა და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, სოფლის კლუბის შენობების გადახურვა, სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია, სასაფლაოს შემოღობვა, ტრენაჟორებისა და ატრაქციონის მონტაჟი. ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ "სოფლის მხარდაჭერის პროგრამამ" მოსახლეობას საშუალებას აძლევს თავად გადაწყვიტოს კონკრეტულად თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოიყენებს მათი დასახლებისათვის გამოყოფილ თანხას.

- როგორც გავიგეთ, სიახლეებია სატრანსპორტო აღჭურვილობის კუთხით...

- დიახ, ამასწინათ, ჩვენმა მუნიციპალიტეტმა 5 ერთეული სრულიად ახალი ავტობუსი, 2 დასუფთავების მანქანა და ერთი ერთეული ქუჩების სარეცხი ტექნიკა შეიძინა. ტრანსპორტი სრულად აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტს და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის. ერთი დასუფთავების მანქანა ბორჯომს და მის სოფლებს, ხოლო მეორე დაბა ბაკურიანს მოემსახურება. ნიშანდობლივია, რომ ახალი მანქანები ვიწრო ქუჩებისთვისაა განკუთვნილი და ამიერიდან კვირაში ერთის ნაცვლად 3-ჯერ მოემსახურებიან ადგილობრივებს. შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოქალაქეთა მომსახურების ხარისხი. ქუჩების მტვრისაგან გაწმენდასა და მორეცხვას კი ახალი სახვეტი მანქანა უზრუნველყოფს, ის ასევე ადგილზე მოახდენს სანაგვე ბუნკერების რეცხვა-დეზინფექციას. გარდა ამისა, შევიძინეთ ახალი 200 ცალი სანაგვე ურნა. ისინი მთელი ქალაქის მასშტაბით გადანაწილდა და ძველი, დაზიანებული ურნები ჩაანაცვლა.

- სოციალური კუთხით რა ვითარებაა...

- ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რასაც 2018 წლის განმავლობაში შესაბამისი პროგრამების წარმატებით განხორციელება ადასტურებს. შარშანდელი მონაცემებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 138 175 ლარია გაცემული და დახმარება ჯამში 3 424 მოქალაქეს გაეწია. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია მოქალაქეთა სტაციონარული, მედიკამენტოზური, სარიტუალო, 4 და მეტ შვილიანი ოჯახების, შშმ პირებისათვის, გამოჩენილი ადამიანების, ახალდაქორწინებულების, ახალშობილების, 100 წელს გადაცილებულთა და დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარება. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სოფელ დვირში, სადაც საბავშვო ბაღი წლებია აღარ ფუნქციონირებდა უახლესი სტანდარტების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შენდება. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ფუნდამენტის მშენებლობის სამუშაოები. ბაღი 3 სოფლის - დვირის, ქვაბისხევისა და ჩითახევის მოსახლეობას მოემსახურება, რომლებსაც, უკვე წლებია, ბავშვების ტარება ქალაქის ბაღებში უწევდათ. 2019 წელს, ისინი ახლადაშენებული და თანამედროვე სტანდარტების ბაღით ისარგებლებენ. დვირის საბავშვო ბაღი 50 აღსაზრდელზე იქნება გათვლილი და იქ ადგილობრივები დასაქმდებიან.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- 2019 წელს რამდენიმე პროექტის დასრულებას ვაპირებთ. რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, მდ. ბორჯომულაზე მოხდება კოსტავას ქუჩიდან 9 აპრილის ქუჩაზე გადასასვლელი ხიდის სრული დემონტაჟი და აშენდება ახალი სამანქანო ხიდი. ასფალტო-ბეტონის საფარი მოეწყობა ბორჯომი-ახალქალაქის საზღვრიდან სოფლების ჭიხარულასა და ბალანთის გავლით. რეაბილიტაცია ჩაუტარდება დაბა წაღვერის ჩიხებს, სოფლების - რველის, დვირის, საკირეს, ტაძრისის, სადგეს, ტბის და ტიმოთისუბანის ჩიხებსა და ქუჩებს. განხორციელდება დაბა წაღვერის კულტურის სახლის რეაბილიტაცია. საკუთარი ძალებით აღვადგენთ ბორჯომის სამუსიკო სკოლას და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს, ასფალტო-ბეტონის საფარით დაიფარება ბორჯომში პეტრიწის, თორის, რობაქიძის, გამარჯვების, გოგიასციხის და №4 საბავშვო ბაღთან მისასვლელი ქუჩები და ჩიხები. აღდგენითი სამუშაოებია დაგეგმილი სოფელ კორტანეთში ცენტრალური გზიდან ხიდამდე მისასვლელი გზასა და სტადიონის მიმდებარე ქუჩაზე. ქალაქში იგეგმება კანალიზაციის ქსელების რეაბილიტაცია და საყრდენი კედლების სარემონტო სამუშაოები. გეგმის მიხედვით დავაფინანსებთ, როგორც სახურავების გადახურვას და სადარბაზოების რეაბილიტაციის დარჩენილ სამუშაოებს, ისე ბაღებისა და საჯარო სკოლების შემოღობვა-კეთილმოწყობას.

სიახლეებით სავსე წელიწადი ადიგენში

უკანასკნელ წლებში, საქართველოს რეგიონების ფინანსური და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდის საკითხებს და არსებული ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. რეგიონული პოლიტიკის ახალი გამოწვევების და შესაძლებლობების თაობაზე უამრავი მსჯელობა ეწყობა და არც სათანადო გადაწყვეტილებები აყოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქის მოშორებით მდებარე სასოფლო-ურბანულ დანაყოფებს ეთმობა და პროცესები მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. საერთო მიდგომა უშუალოდ თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან მუშაობას ითვალისწინებს და საქართველოს რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებს, ამოცანებს და შესაბამის ღონისძიებებს განსაზღვრავს. როგორც ცნობილია, 2019 წელს, საქართველოში დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის ახალი პროექტი დაიწყო, რომელსაც ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, გაეროს განვითარების პროგრამის, დანიის, შვეიცარიის, ავსტრიის მთავრობების მხარდაჭერით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის დეცენტრალიზაციის საკითხებზე დიალოგის წარმართვას და დეცენტრალიზაციის ახალ სტრატეგიაში ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინებას. აქცენტები გადატანილია საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან პრინციპებზე და რეგიონებში არსებულ საჭიროებებზე. განიხილება ის პრიორიტეტები და მექანიზმები, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერების მიზნით დეცენტრალიზაციის რეფორმაში უნდა იქნას გათვალისწინებული. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ზაქარია ენდელაძე**, რეგიონში განვითარებულ მოვლენებს და მიმდინარე სიახლეებს, სწორედ ზემოთ აღნიშნული პროცესების წარმატებით განხორციელებას უკავშირებს...

- ბატონო ზაქარია, რა სიახლეებია ადიგენში?

- მოგეხსენებათ, ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელ პირობას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის მკაცრი დეცენტრალიზაცია და აქედან გამომდინარე, ინფრასტრუქტურული პროექტების მიზანმიმართული და სწორი განხორციელება წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მუნიციპალიტეტის სტრატეგია, ძირითადად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას მოიცავს. ამ მიმართულებით უამრავი სიახლე გვაქვს. ამის მაგალითად, სულ ახლახან, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება სიემსისა და კეიოსის (იტალია) ერთობლივ საწარმოსთან დაბა აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტირებისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურებაზე. აღნიშნული სამუშაოები რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში შესრულდება, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ არის დაფინანსებული. პროექტის მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებით მხარი დაუჭიროს ტურიზმის წილის ზრდას ადგილობრივ ეკონომიკაში, რაც ურბანული პროექტირების ინტეგრირებული კონცეფციის შემუშავებით

განხორციელდება. შესაბამისად, აქტიურ ფაზაში შევიდა ტურისტული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაიწყო დაბა აბასთუმანში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 18 სახლის რეაბილიტაცია, რომლებიც XIX, XX საუკუნეებშია აგებული და იმ პერიოდის ხის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი აჟურული მორთულობებითა და ქანობიანი სახურავებით ხასიათდება. პროექტის ფარგლებში განხორციელდება მათი რესტავრაცია და პირვანდელი სახით აღდგენა, რასაც ობსერვატორიისა და ობსერვატორიამდე საბაგირო გზის მშენებლობა-რეაბილიტაცია დაემატება.

- დაიწყო გოდერძის გზის სამშენებლო სამუშაოები...

- გოდერძის უღელტეხილზე, ზარზმა-ხულოს საავტომობილო გზაზე, 47 კილომეტრის მოასფალტებისთვის წელს 100 მილიონი ლარი დაიხარჯება. სამუშაოებს 2020 წელს დავასრულებთ, რის შედეგადაც ახალციხე-ბათუმის გზის დაფარვა 1.5 საათით ნაკლებ დროში იქნება შესაძლებელი. პარალელურად, ეს გზა უფრო მიმზიდველს გახდის ტურისტებისთვის ამ უღელტეხილზე მშენებარე სამთო-სათხილამურო კურორტს და ხელს შეუწყობს ზემო აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. მსგავსი სიტუაციაა ბაღდათი-აბასთუმნის დამაკავშირებელ გზაზე, რომლის სამკილომეტრიან მონაკვეთში სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად დაიწყო. სარეაბილიტაციო მონაკვეთი აბასთუმნის გასასვლელიდან ე.წ. საკალმახეების ტერიტორიამდე არსებულ გზას მოიცავს და საბოლოო გათვლით ზეკარის უღელტეხილზე გზის სრული რეაბილიტაცია იგეგმება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურების დონეს და შეამცირებს სამგზავრო მანძილს საქართველოს ცენტრალური ნაწილიდან თურქეთის სახღვრამდე. ზოგადად, მინდა აღვნიშნო რომ, წელს რეგიონის განვითარების ფონდიდან დაახლოებით სამ მილიონ ნახევარი ლარი მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაში დაიხარჯება.

- მუნიციპალიტეტში 4 ახალი სკოლა შენდება...

- ბოლო წლების განმავლობაში, ადიგენის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, სკოლამდელი და სასკოლო განათლების ხელშეწყობა გახლავთ. ზარზმაში, ბენარაში, ბოლაჯურში, ღორთუბანში მართლაც ახალ სკოლებს ვაშენებთ. დამატებით, კიდევ ერთ სკოლას რეაბილიტაცია ჩაუტარდება. მაგალითად, ბენარაში, სადაც 150 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა შენდება, 12 საკლასო ოთახი, სამი კაბინეტი და ერთი ლაბორატორია. ადიგენში სულ 25 სკოლაა და ყველას სათანადო ყურადღებას მივაქცევთ. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სოფელ მოხეში, ახალი საბავშვო ბაღის ასაშენებლად, იაპონიის მთავრობამ 66 395 აშშ დოლარი გამოყო. საბავშვო ბაღი 8 ახლომდებარე სოფელში მცხოვრებ 100-მდე, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს მოემსახურება.

- როგორც ვიცით, ადიგენსა და აბასთუმანში სასმელი წყლის რეაბილიტაცია იწყება...

- წელს, კურორტ აბასთუმანში, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი მართლაც იწყება და სამუშაოებისათვის 4 658 902 ლარი დაიხარჯება. სატენდერო დოკუმენტების მიხედვით, წყლის სისტემით მთლიანად დაიქსელება აბასთუმნისა და „აღობილის“ ტერიტორია. გაიწმინდება ის ადგილი, სადაც წყალსადენმა უნდა გაიაროს და დამონტაჟდება ახალი რეზერვუარები. უკვე არსებულს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდება და წყალგამანაწილებლები მოეწყობა. პარალელურად, სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდება ადიგენის 11 სოფელში. წახანში, გომაროში, ციხისუბანში, ჭეჭლაში, სოფელ ადიგენში, შოლაფერში, ქიქინეთში, მოხეში, კეხოვანში, ხარჯამში და ბენარაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სხვადასხვა დიამეტრის მილების შეძენა. გზებისა და ხევების გადაკვეთებში კი ლითონის მილების მოწყობა, პოლიეთილენის მილების გასატარებლად. შემსრულებელი ნაწილობრივ ასრულებს მიწის სამუშაოებს, ხოლო მილების მონტაჟს და დარჩენილი მიწის სამუშაოები მოსახლეობამ საკუთარი ძალებით უნდა შეასრულოს. დამატებით, მინდა ვთქვა სოფელ არალში ახალი ხიდის თაობაზე. მდინარე ოცხეზე აქამდე არსებული ვიწრო ხიდი ვერ უზრუნველყოფდა გაზრდილ სატრანსპორტო მოთხოვნებს, ამიტომ გადაწყდა ახალი, ერთმალიანი, ე.წ. კოჭოვანი სისტემის ხიდის აშენება, რომლის სიგრძე 35, ხოლო სიგანე 10 მეტრი იქნება.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე რას გვეტყოდით...

- მოგეხსენებათ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ საქართველოში ორწლიანი პაუზის შემდეგ 2019 წლიდან განახლდა. პროგრამა მიზნად ისახავს სოფლის ტიპის დასახლებების ინფრასტრუქტურის განვითარებას და მოსახლეობის ჩართულობის ზრდას გადაწყვეტილებების მიღებაში. თითოეულ სოფელს ცენტრალური ბიუჯეტიდან გარკვეული ოდენობის თანხა ეძლევა და ადგილობრივები თავად არკვევენ, რას მოხმარდება ეს ფული. შესაბამისად, ადიგენის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობასთან შეხვედრებს განუწყვეტლივ ახორციელებს. მათ ვაწვდით ინფორმაციას ბოლო დროს განხორციელებული და მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ და სამომავლოდ, არსებული საჭიროებების გადაჭრის გზებზე ვესაუბრებით. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლისთვის პრობლემების მოგვარების კარგი შანსია. ამ თანხებით ყველა სოფელში კარგი საქმე გაკეთდება, თან რაც მთავარია თავად ხალხი გადაწყვეტს კონკრეტულად რისი გაკეთება ურჩევნიათ. ჩვენც შეგვიძლია თანადაფინანსებაში 100%-ითაც კი შევიდეთ.

- დასასრულს, დაბა ადიგენში გახსნილ ახალ საზოგადოებრივ ცენტრზეც გვითხარით...

- წლის დასაწყისში, იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა დაბა ადიგენში საზოგადოებრივი ცენტრი გახსნა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ცენტრი ადიგენსა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ 10 000-მდე მომხმარებელს მოემსახურება და მოსახლეობას საშუალებას მისცემს, საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით ისარგებლონ. ამასთან, აქ განთავსებულია კერძო კომპანიების ფილიალები, რაც პენსიონერებს საშუალებას აძლევს, სოფლიდან გაუსვლელად აიღონ პენსია, ხოლო ადგილობრივებმა 24-საათიანი უკაბელო უფასო ინტერნეტითა და სკაიპის ოთახით ისარგებლონ. გარდა ამისა, ადიგენის მოსახლეობას საზოგადოებრივ ცენტრში შეუძლია, ისარგებლოს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკით, სადაც ელექტრონულ წიგნებთან ერთად ბეჭდური გამოცემებიცაა დაცული. ბეჭდური და ციფრული ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი მოზარდებსა და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შეიძინონ ცოდნა. ინტერნეტის მეშვეობით მათ შეუძლიათ, მიიღონ მათთვის საჭირო და საინტერესო უახლესი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხზე, რის შესაძლებლობასაც ისინი მანამდე მოკლებული იყვნენ.

სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს

ნიშანდობლივია, რომ საქართველოში, უკანასკნელი წლების მანძილზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე და გაუმჯობესდა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი. ყოველი თვითმმართველი ერთეული ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვაში სრულიად თავისუფალი გახდა და განვითარების კარგი შანსი გაუჩნდა. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროცესებს და ადგილობრივი მერიის საქმიანობას, რამაც მეტნაკლებად უნდა შეცვალოს მოსახლეობაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალციხის მუნიციპალიტეტი, ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და წარმატებულია. რაიონის სასოფლო-სამეურნეო რესურსი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე მეტყველებს და ეკონომიკური პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობას წარმოადგენს. სასიამოვნოა, რომ მუნიციპალიტეტში უამრავი სიახლეა ინფრასტრუქტურული და საკომუნიკაციო ქსელების მოწესრიგების მიმართულებით. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ზაზა მელიქიძეს**, ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ.

- ბატონო ზაზა, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

- ამ დროისთვის, ახალციხის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება. აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ ახალციხეში 12 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის გარე ფასადების, სადარბაზოებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ასევე, იცვლება კორპუსების ამორტიზებული და მოძველებული სახურავები. სამუშაოები უკვე დასრულებულია 6 ობიექტზე, 21 შენობის სახურავი კი უახლოეს ხანში გამოიცვლება. კაპიტალურ საგზაო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ვახორციელებთ სოფლებში სხვილისში, ნაოხრებსა და ურაველში აგარის სამონასტრო კომპლექსთან. აქტიურად მიმდინარეობს წინუბანი-გურკელი-აგარა-ზიკილია-მუგარეთის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, მაგისტრალური მილსადენის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია, გურკელის სპორტული მოედნის მშენებლობა, ქ. ვალის კულტურის სახლის რეაბილიტაციის II ეტაპი, ახალციხეში, ზარზმელის ქუჩაზე კიბის მოწყობა და ქალაქ ვალეში, თამარ მეფის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის გამართვა (მე-5 ეტაპი). დასრულებულია გარე განათების ქსელის მოწყობა სოფელ ხეოთში. ასფალტის საფარი დაიგო საცხოვრებელი კორპუსების ეზოებსა და ჩიხებში ჯაყელის, კოსტავას, გოგებაშვილის, გორგასლისა და გურამიშვილის ქუჩებზე.

- როგორც ცნობილია, ბევრი სიახლე იგეგმება კონკრეტულად ქალაქ ახალციხეში...



- ამ მიმართულებით, 2019 წელს, ჩვენ, მართლაც მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელებას ვგეგმავთ, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით. ქალაქში უამრავი ახალი პროექტი განხორციელდება. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, გადაწყვეტილია შიდა ქუჩების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების და საკანალიზაციო სისტემის მოდერნიზება, №1 საბავშვო ბაღის აღდგენა და ახალი ბაღის მშენებლობა, ვაპირებთ, მოვაწყოთ ცხოველთა თავშესაფარი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი სივრცის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას, ცივილური და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. პროექტის მიხედვით, კეთილმოწყობილი და მრავალფუნქციური თავშესაფარი კომპლექსურ მომსახურებას გაუწევს და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოფს, როგორც მიუსაფარ, ასევე მზრუნველობის ქვეშ მყოფ ცხოველებს. გარდა ამისა, წელს ვაპირებთ განვახორციელოთ საცურაო აუზისა და სპორტ-კომპლექსის მშენებლობა.

-- ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროს რაც შეეხება...

- ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშწყობა წარმოადგენს. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა რამოდენიმე მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გარკვეული შეღავათებით უზრუნველყოფას, მორალურ და ფსიქოლოგიურ თანადგომასა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. ეს შეეხება, როგორც ყოველთვიურ, ასევე ერთჯერად დახმარებას ჩვენი ბენეფიციარებისათვის.

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

- დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ მიმდინარე წელს ახალციხეში უკვე დაგეგმილი ძირითადი პროექტები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითვალისწინებს. სარეაბილიტაციო ობიექტების შერჩევისას, მოსახლეობის საჭიროების გათვალისწინებით დიდი ყურადღება ექცევა ტურისტულ მარშუტებთან მდებარეობას. მაგალითისთვის სწორედ ასეთია ურაველში აგარის სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი გზა, რაც დამატებით შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის განვითარების მიმართულებით. მუნიციპალიტეტში იგეგმება ქუჩებისა და მისასვლელების შეკეთება, ვაპირებთ ფასადების რეაბილიტაციის დასრულებას, გაგრძელდება გარე განათების ქსელის, სპორტული მოედნების და გასართობ-რეკრეაციული ზონების მოწყობა. გარდა ამისა მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებში 46 დასახლებაში მცხოვრებმა მოსახლეობამ თავად აირჩია მათთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული პროექტები. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას სათანადო პირობები და გარემო, რომ მეწარმეებსა და საქმიან ადამიანებს, მოქალაქეებს მიეცეთ მაღალპროდუქტიული შრომისა და საქმიანობის საშუალება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება არსებული სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება. სწორედ ამ მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას.

NEW DESIGN

თბილისი.
ალმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ
კახეთის გზატკეცილი,
ე.ბ. ბალდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01
მობ: (591) 00 64 01
E-mail: giorgii2004@gmail.com
www.newdesign.ge

Leselidze st. L2. N2 Terjola, Georgia
Agmaschenebeli AVE N81. Kutaisi, Georgia
Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

MTM

Director
Mevlud Getsadze





HOTEL
BORJOMI AISI

Hotel
BORJOMI AISI
Georgia, Borjomi
9 Aprili st1
Tel.: 557 66 95 66

ᲧᲚᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲚᲐᲠᲯᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲨᲔ

ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡ ᲗᲔᲠᲛᲝᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ